**წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**ბიუროს სხდომის**

**ო ქ მ ი N 29**

**ქ. წალკა; 08.11.2024 წ.**

***სხდომას თავმჯდომარეობდა:*** წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

***ირაკლი გიგინეიშვილი***

***სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:***

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);
.

(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

**სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;**
**სხდომა დასრულდა: 11:25 საათზე;**

***დღის წესრიგი:***

1. განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის #გ-119.11924121001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულიუ უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ"

3. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6 წევრის ერთობლივი განცხადება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვაკანტურ პოზიციაზე საკრებულოს წევრის ჯემალ ბერიძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ;

4. N 25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 7 ნოემბრის N02/2024 განკარგულება „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ".

***სხდომამ განიხილა:***

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის #გ-119.11924121001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს განკარგულების პროექტის განხილვის პროცედურები დაევალოთ: სივრცით, ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს შემჭიდროვებულ ვადებში სხდომებზე განიხილონ აღნიშნული განკარგულების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 11 ნოემბერს საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულიუძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ". ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს განკარგულების პროექტის განხილვის პროცედურები დაევალოთ: ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას საკრებულოს ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული განკარგულების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 22 ნოემბერს საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

3 სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6 წევრის ერთობლივი განცხადება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვაკანტურ პოზიციაზე საკრებულოს წევრის ჯემალ ბერიძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 98-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად დაევალოს: წალკის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას უზრუნველყოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის

არჩევისთვისთვის ბიულეტენების მომზადება, დარიგება და კენჭისყრის პროცესების ხელმძღვანელობა;

4 სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია N 25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 7 ნოემბრის N02/2024 განკარგულება „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ“, რის შემდეგაც ბიუროს წევრებს განუცხადა, რომ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 135-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „პროპორციულ საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრის ხაჩატურ მაზმანიანის უფლებამოსილება იწყება მისი ადგილმონაცვლეობის შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სათანადო სამართლებრივი აქტის გამოცემისდან მე-14 დღიდან, 2024 წლის 21 ნოემბრიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

*საკრებულოს თავმჯდომარე* *ი.გიგინეიშვილი*